„მეტალისტი“ (ხარკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 2:1 (0:0)

ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 29 მარტი.

„მეტალისტი“: სივუხა, მახინია, კუზნეცოვი, ვაშჩენკო, პანჩიშინი, ენეი, ბურიაკი (დერკაჩი, 70), სუსლო, იაკუბოვსკი, ტარასოვი (ბარანოვი, 58), აჯოევი.

„დინამო“: აბუსერიძე, კეტაშვილი (ცაავა, 59), ჩივაძე, ჭედია, მალანია, რევიშვილი, კორღალიძე, სულაქველიძე, ბიგვავა, კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი - ა. ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს კაკილაშვილი, ჭედია.

დუბლიორები - 0:1.

ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

ატალახებულ, მძიმე მინდორზე თამაში კარგა ხანს ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. შემდეგ, შუა ტაიმში, უპირატესობა დინამოელებმა აიღეს ხელთ. კაკილაშვილს შესაძლებლობა მიეცა შორი მანძილიდან დაერტყა კარში, მაგრამ სივუხა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

თბილისელებს, ისევე, როგორც მიმდინარე ჩემპიონატის წინა მატჩებში, უშუალოდ შეტევის ხაზზე მხოლოდ ერთი ფორვარდი ჰყავდათ - შენგელია. მისი დახმარების ფუნქცია იერიშის დროს ნახევარმცველებს უნდა შეესრულებინათ, მაგრამ დინამოელთა ნახევარდაცვის ხაზი უმეტეს შემთხვევაში, ცენტრალურ ზონაში ყოვნდებოდა. შენგელიას კი მკაცრად მეთვალყურეობდნენ „მეტალისტის“ მცველები. ასეთ ვითარებაში მეკარე სივუხა უმეტესად საკმაოდ უხიფათოდ გრძნობდა თავს.

თბილისელთა ტაქტიკური ნახაზი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ხარკოველთა გამოცდილმა ნახევარმცველმა ბურიაკმა კი, რომელიც კარგად ცნობილია საფეხბურთო სამყაროში, კომბინაციური ურთიერთმოქმედების ორგანიზება შეძლო მინდვრის შუაგულში. „დინამოს“ კართან სახიფათო მომენტები სულ უფრო ხშირად იქმნებოდა. 56-ე წუთზე ბურიაკის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ დინამოელთა მცველებმა ვერ შეძლეს ხიფათის ლიკვიდირება. შეცდომაც დაუშვეს, რის შედეგად ენეიმ ახლო მანძილიდან გაიტანა პირველი გოლი 1:0.

თბილისელებმა გააძლიერეს კონტრშეტევები. შენგელიამ ერთხელ მაინც შეძლო მეტოქეთა დაცვის რიგების გარღვევა და საგოლე მომენტის შექმნა, მაგრამ საბოლოოდ ზუსტად ვერ დაარტყა - სივუხას ხელებში მიაწოდა ბურთი.

მიმდინარეობდა 64-ე წუთი, როცა თბილისელებმა მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს, კაკილაშვილი წამით ღიად დარჩა და შორი, ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ხარკოველებმა კვლავ შეუტიეს და ერთ-ერთი კომბინაცია 86-ე წუთზე მეორე გოლით დაამთავრეს (ბარანოვი), რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა.

საქართველოს ორი გუნდის სტარტი საკავშირო ჩემპიონატში და მათი ახლანდელი სატურნირო მდგომარეობა, რა თქმა უნდა, საგანგაშოა: თბილისის „დინამოც“ და ლანჩხუთის „გურიაც“ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებად გვევლინებიან. მართალია, მათ თადარიგში თითო მატჩი აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ჩვენმა გუნდმა კიევის „დინამოსთან“ უნდა ითამაშოს, დარწმუნდებით ვერ ვიტყვით, რომ ეს „მარაგი“ მათ წარმატებას მოუტანს.

0 ქულა 3 მატჩში! თბილისის „დინამოს“ ასეთი სუსტი სტარტი საკავშირო ჩემპიონატთა ხანგრძლივ ისტორიაში არ გვახსოვს და ამ სტატისტიკური მაჩვენებლის გარდა თვით გუნდის თამაშის ახლანდელი დონე, მისი საერთო კლასი დიდ შეშფოთებას იწვევს.

თბილისის „დინამო“ ამჟამად მხოლოდ ერთი თავდამსხმელით თამაშობს, სხვა პარტნიორები მას მხოლოდ ეხმარებიან. ერთი ფორვარდით თამაში ქართული ფეხბურთის, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ ბუნებას და არსს არ ეგუება. არ გვახსოვს ჩვენი შემტევი ძალები ოდესმე ასე დაწრეტილიყოს. ჩვენი აზრით, გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ ესაა.

წარუმატებელი სტატია, როგორც ეს ხშირად ხდება ფეხბურთში, გარკვეულ ნერვიულ ატმოსფეროს ქმნის კოლექტივში. ალბათ, ამის გამოა, რომ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეებმა სტარტზე რამდენჯერმე დაიმსახურეს ყვითელი ბარათი - 3 მატჩში 4 გაფრთხილება ყოველგვარ დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტია. წინა მატჩში, 22 მარტს გააფრთხილეს კეტაშვილი და ჭედია, ახლა - კაკილაშვილი და კვლავ ჭედია.

რესპუბლიკის მთავარ გუნდში რომ თავდამსხმელები გვაკლია, საერთოდ ქართულ ფეხბურთში დაშვებული ნეგატიური მოვლენების შედეგია. გულშემატკივრები იმედით მოელიან სასიკეთო გარდაქმნებს.

“ლელო”, 31.03.1987